25.07.2013

№-26

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 220/26

„ 23 " 07 2013

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს (GRASS)
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის.: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №15

ბატონო სერგი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2013 წლის 18 ივლისის №80 წერილი (სარეგისტრაციო ნომერი 134/25, 19.07.2013), რითაც ითხოვთ სტატისტიკურ მონაცემებს 2012 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (საქართველოს კონტროლის პალატაში) საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ამავე საკითხზე სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2012 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (საქართველოს კონტროლის პალატაში) არ დაკმაყოფილდა 25 განცხადება, რაც განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით:

ა) 4 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საქვეუწყებო არქივში;

ბ) 5 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებდა დაზუსტებას;

გ) 8 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია იყო დამუშავების პროცესში;

დ) 6 შემთხვევაში აუდიტი, რომლის თაობაზეც იყო მოთხოვნილი ინფორმაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არ იყო ჩატარებული;

ე) 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე გაცემული იყო მომთხოვნ პირზე;

ვ) 1 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია განთავსებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.

რაც შეეხება სასამართლო დავებს, გაცნობებთ, რომ 2012 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა 4 სასამართლო დავა:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, სარჩელი დარჩა განუხილველი;

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136
ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ.N7 , იუსტიციის სახლი ტელ: (+99532)2438197 ფაქსი: (+99532)2438195

2. გურია ნიუსის კორესპოდენტის თამარ ლეფსვერიძის სარჩელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

3. სტუდია მონიტორის სარჩელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

4. მოქ. ცქრიალა შერმადინის სარჩელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ლევან ლობჟანიძე